საქსტატი

www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

# 2018

(წინასწარი)





11.03.2019

www.geostat.ge

11.03.2019

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
## 2018 წლის წლიური და 2018 წლის IV კვარტალი

### 2018 წელი
(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წელს 1 232.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 34.9 პროცენტით ნაკლებია 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება, რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში, ასევე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება (სასესხო დავალიანების დაფარვა).

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2013-2018 წლებში.

დიაგრამა №1

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2018 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)**




*წინასწარი მონაცემები.

## ცხრილი №1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი)

| წელი | I | II | III | IV | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 2006 | 145.2 | 318.0 | 332.4 | 375.5 | 1 171.2 |
| 2007 | 330.8 | 366.5 | 468.9 | 586.4 | 1 752.6 |
| 2008 | 539.5 | 605.4 | 134.9 | 290.0 | 1 569.7 |
| 2009 | 113.3 | 177.1 | 179.0 | 194.8 | 664.2 |
| 2010 | 176.1 | 211.4 | 236.4 | 221.2 | 845.1 |
| 2011 | 222.5 | 270.9 | 306.8 | 329.6 | 1 129.9 |
| 2012 | 295.5 | 246.8 | 219.5 | 261.2 | 1 022.9 |
| 2013 | 290.3 | 216.4 | 265.8 | 248.0 | 1 020.5 |
| 2014 | 326.6 | 209.7 | 740.5 | 540.9 | 1 817.7 |
| 2015 | 335.0 | 483.0 | 515.9 | 331.7 | 1 665.6 |
| 2016 | 378.8 | 411.5 | 491.7 | 283.7 | 1 565.8 |
| 2017 | 393.6 | 355.8 | 622.8 | 522.2 | 1 894.5 |
| 2018* | 300.1 | 390.4 | 344.7 | 197.1 | 1 232.4 |

*წინასწარი მონაცემები.

## ცხრილი №2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით 2013-2018 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018* |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ** | 1 020.5 | 1 817.7 | 1 665.6 | 1 565.8 | 1 894.5 | 1 232.4 |
| მათ შორის: | | | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 534.3 | 1 151.9 | 1 281.5 | 1 798.2 | 1 187.9 | 699.9 |
| რეინვესტიცია^ | 276.5 | 322.9 | 157.7 | 334.1 | 657.5 | 558.8 |
| სავალო ვალდებულებები^^ | 209.8 | 342.9 | 226.3 | -566.5 | 49.1 | -26.2 |

*წინასწარი მონაცემები.

^ რეინვესტიცია - სხვაობა მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის.

^^ სავალო ვალდებულებებში აისახება სავაჭრო კრედიტები და სესხები.

### ცხრილი№3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2013-2018 წწ.

| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018* |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%) | 27.1 | 17.8 | 9.5 | 21.3 | 34.7 | 45.3 |

*წინასწარი მონაცემები.

როგორც ცხრილიდან (ცხრილი №3) ჩანს, 2018 წელს რეინვესტიციის წილმა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 45.3 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა №2

### პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2013-2018 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)




*წინასწარი მონაცემები.

2018 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები შემდეგნაირად განაწილდა (ცხრილი №4):

## ცხრილი №4. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2018 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018* |
|---|---|---|---|---|---|
| **სულ** | 1 817.7 | 1 665.6 | 1 565.8 | 1 894.5 | 1 232.4 |
| მათ შორის: | | | | | |
| აზერბაიჯანი | 340.5 | 581.6 | 558.5 | 465.0 | 240.0 |
| გაერთიანებული სამეფო | 108.9 | 398.8 | 105.5 | 247.4 | 203.7 |
| ნიდერლანდი | 376.8 | 158.5 | 72.3 | 356.7 | 167.9 |
| აშშ | 184.7 | 20.7 | 58.4 | 79.7 | 103.7 |
| პანამა | 70.7 | 9.5 | 75.9 | 52.8 | 74.7 |
| ჩეხეთი | 52.0 | 16.7 | 87.0 | 142.5 | 72.3 |
| ჩინეთი | 220.1 | 66.9 | 25.5 | 40.3 | 65.4 |
| კორეა | 0.6 | 29.9 | 29.7 | 36.2 | 63.2 |
| რუსეთი | 87.9 | 51.4 | 36.0 | 43.7 | 60.1 |
| დანარჩენი ქვეყნები | 375.6 | 331.5 | 517.1 | 430.0 | 181.5 |

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, 49.6 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სტრუქტურული დიაგრამა № 3. პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 19.5 პროცენტით, მეორეზე - გაერთიანებული სამეფო 16.5 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ნიდერლანდი 13.6 პროცენტით.

დიაგრამა №3

### უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2018* წელს




*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2018 წელს, ეკონომიკის სექტორების მიხედვით, მოცემულია ცხრილში №5:

## ცხრილი №5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015-2018 წწ.(მლნ. აშშ დოლარი)

| | 2015 | 2016 | 2017 | 2018* |
|---|---|---|---|---|
| სულ | 1 665.6 | 1 565.8 | 1 894.5 | 1 232.4 |
| მათ შორის: | | | | |
| საფინანსო სექტორი | 202.0 | 141.1 | 302.6 | 277.9 |
| ტრანსპორტი | 608.1 | 576.0 | 472.6 | 209.9 |
| ენერგეტიკა | 123.7 | 145.0 | 224.1 | 157.2 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 98.4 | 125.6 | 98.6 | 142.3 |
| მშენებლობა | 143.6 | 168.7 | 283.1 | 103.6 |
| უძრავი ქონება | 91.4 | 49.6 | 182.2 | 90.0 |
| სასტუმროები და რესტორნები | 141.4 | 56.1 | 72.2 | 72.3 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 88.0 | 49.7 | 51.8 | 66.7 |
| სოფლის მეურნეობა, თევზჭერა | 18.6 | 8.4 | 12.4 | 15.9 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება | 140.3 | 29.5 | 7.2 | 13.2 |
| კავშირგაბმულობა | -20.6 | 59.7 | 17.0 | -35.2 |
| დანარჩენი სექტორები | 30.8 | 156.3 | 170.7 | 118.7 |

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2018 წელს 52.3 პროცენტი შეადგინა. ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 277.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 22.5 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ტრანსპორტის სექტორი 209.9 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ენერგეტიკის სექტორი,157.2 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაზე №4:

დიაგრამა №4

## უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018* წელს




*წინასწარი მონაცემები.

11.03.2019

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
## 2018 წლის IV კვარტალი
(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წლის IV კვარტალში 197.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წლის IV კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებზე 62.3 პროცენტით ნაკლებია. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება (სასესხო დავალიანების დაფარვა).

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2016-2018 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა № 1

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2016-2018 წლებში**
(მლნ. აშშ დოლარი)




*წინასწარი მონაცემები.

## ცხრილი №1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით, 2017-2018 წლებში

| | 2017 | | | | | 2018* | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | სულ | I | II | III | IV | სულ |
| **სულ** | 393.6 | 355.8 | 622.8 | 522.2 | 1 894.5 | 300.1 | 390.4 | 344.7 | 197.1 | 1 232.4 |
| მათ შორის: | | | | | | | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 164.4 | 295.2 | 339.7 | 388.6 | 1 187.9 | 123.5 | 205.0 | 211.3 | 160.0 | 699.9 |
| რეინვესტიცია^ | 175.5 | 133.1 | 236.0 | 112.9 | 657.5 | 192.8 | 178.6 | 130.7 | 56.7 | 558.8 |
| სავალო ვალდებულებები^^ | 53.7 | -72.5 | 47.1 | 20.8 | 49.1 | -16.3 | 6.8 | 2.8 | -19.6 | -26.2 |

*წინასწარი მონაცემები.

^ რეინვესტიცია  - სხვაობა მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის.

^^ სავალო ვალდებულებებში აისახება სავაჭრო კრედიტები და სესხები.

## ცხრილი №2 ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2018 წლის IV კვარტალში

| | 2017 | | | | | 2018* | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | სულ | I | II | III | IV | სულ |
| **სულ** | 393.6 | 355.8 | 622.8 | 522.2 | 1 894.5 | 300.1 | 390.4 | 344.7 | 197.1 | 1 232.4 |
| მათ შორის: | | | | | | | | | | |
| გაერთიანებული სამეფო | 77.7 | 27.6 | 68.5 | 73.7 | 247.4 | 82.6 | 47.2 | 6.9 | 67.0 | 203.7 |
| აზერბაიჯანი | 92.5 | 122.6 | 150.8 | 99.1 | 465.0 | 56.6 | 79.6 | 53.7 | 50.0 | 240.0 |
| ნიდერლანდი | 42.4 | 50.2 | 84.0 | 180.2 | 356.7 | 19.3 | 66.2 | 47.5 | 34.9 | 167.9 |
| აშშ | 5.7 | 30.1 | 28.4 | 15.5 | 79.7 | 23.6 | 28.4 | 26.3 | 25.3 | 103.7 |
| დანარჩენი ქვეყნები | 175.4 | 125.3 | 291.1 | 153.8 | 745.7 | 117.9 | 169.1 | 210.3 | 19.9 | 517.2 |

*წინასწარი მონაცემები.

2018 წლის IV კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სტრუქტურული დიაგრამა № 2, რომლის მიხედვით პირველ ადგილზეა გაერთიანებული სამეფო - 34.0 პროცენტით, მეორე ადგილზეა  აზერბაიჯანი - 25.4 პროცენტით, ხოლო მესამეზე ნიდერლანდი  - 17.7 პროცენტით.

დიაგრამა № 2

**უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2018* წლის IV კვარტალში**




*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2018 წლის IV კვარტალში, ეკონომიკის სექტორების მიხედვით მოცემულია ცხრილში № 3:

**ცხრილი №3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2017-2018 წლებში**
(მლნ. აშშ დოლარი)

| | 2017 | | | | | 2018* | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | სულ | I | II | III | IV | სულ |
| **სულ** | 393.6 | 355.8 | 622.8 | 522.2 | 1 894.5 | 300.1 | 390.4 | 344.7 | 197.1 | 1 232.4 |
| მათ შორის: | | | | | | | | | | |
| საფინანსო სექტორი | 76.3 | 2.0 | 71.5 | 152.9 | 302.6 | 111.1 | 64.3 | 18.3 | 84.2 | 277.9 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 13.0 | 18.3 | 43.9 | 23.4 | 98.6 | 40.8 | 24.2 | 56.7 | 20.6 | 142.3 |
| უძრავი ქონება | 61.8 | 44.9 | 31.8 | 43.6 | 182.2 | -16.4 | 46.4 | 40.1 | 19.9 | 90.0 |
| სასტუმროები და რესტორნები | 7.1 | 25.1 | 29.7 | 10.3 | 72.2 | 25.4 | -5.5 | 36.2 | 16.2 | 72.3 |
| ტრანსპორტი | 116.0 | 118.3 | 164.7 | 73.7 | 472.6 | 66.4 | 65.2 | 64.8 | 13.5 | 209.9 |
| დანარჩენი სექტორები | 119.4 | 147.4 | 281.1 | 218.4 | 766.3 | 72.8 | 195.7 | 128.7 | 42.8 | 440.0 |

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2018 წლის IV კვარტალში 63.3 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 84.2 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 42.7 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 20.6 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - უძრავი ქონების სექტორი 19.9 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018 წლის IV კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაზე №3:

დიაგრამა № 3

## უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018* წლის IV კვარტალში




*წინასწარი მონაცემები.

**წყარო:**
1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა “საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ”);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

**შენიშვნა:** ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით;

**განმარტება:** ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

მონაცემების კორექტირება ხორციელდება საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

2018 წლის მარტიდან (სსფ-ის რეკომენდაციის შესაბამისად) საქსტატმა დაიწყო საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკის გამოქვეყნება ინტეგრირებული ფორმატით, რაც საშუალებას აძლევს ეკონომიკურ სუბიექტებს, რეგულარულად მიაწოდონ საქსტატს დაზუსტებული ინფორმაცია. საქსტატი, თავის მხრივ, იყენებს აღნიშნულ შესაძლებლობას და მუდმივად ახორციელებს მონაცემთა განახლებას სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის ამაღლების მიზნით.

2018 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2019 წლის 15 აგვისტოს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს წინა პერიოდების მონაცემების ცვლილება.

საკონტაქტო პირი:
ლია ძებისაური, ტელ.: (+995 322) 36 72 10 (300).
E-mail: Ldzebisauri@geostat.ge